



სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტი

Legal entity of public law-Gori Teaching University



წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 09-103

09-09-2011წ.

გორი

სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სემესტრულ გადასახადთან დაკავშირებით შეღავათების დაწესების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის #27/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მომართვის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეთ უფლება სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს 2011-2012 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში სწავლის საფასური გადაიხადონ აკადემიური კალენდარით გათვალისწინებული ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე;
2. სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის პირველადი გადასახადი ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის განისაზღვროს არანაკლებ 500 ლარის ოდენობით და მისი გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის 2011-2012 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარით გათვალისწინებული ვადა;
3. სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ამ ბრძანების მეორე მუხლით გათვალისწინებული თანხის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობა უთანაბრდება სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობას.
4. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;
5. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

სპიკერის მოვალეობის
შემსრულებელი

ხალიანა ჩიტაძე